# The Problem of Regulating Libel and Protection of Right to Privacy in modern media

Ia Makharadze

*Doctor of Philosophy, Georgia*
*Associate Professor of Educational Bachelor's Program of Journalism at Faculty of Humanities, at National University SEU*
*Email: Ia.makharadze@gmail.com*

## ABSTRACT

It is important for modern media to study the mechanisms of protection of the right to privacy and the principles of defamation. Accordingly, the paper discusses the established rules of libel and respect for the privacy during conducting journalistic operations: is the most part of the defamatory material, the coverage of personal details of personal life the result of careless journalistic work or the legitimate grounds for interference in the context of situations. The article uses the comparative analysis of Georgian legal regulations of media with legal regulations in different countries of the world in terms of libel and respect for privacy. It is suggested to find a way to avoid the danger in terms of covering the libelous materials and details of personal life of this mysterious side of the journalistic profession.

The paper studies as well the inconstant nature of the legal media in terms of right to privacy and protecting principles on defamation. Creating regulations regarding right to privacy during covering journalistic materials is discussed and recent tendencies of the journalists' obligations in this regard are analyzed.

**KEYWORDS:** Self-regulation, speechlessness, defamation

Email: info@heraldoflaw.com



# შესავალი

თანამედროვე დასავლურ მედიაში ადამიანის უფლებები ჟურნალისტიკის ისტორიის ფასდაუდებელი მონაპოვარია და დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმთავრესი ღირებულება. მართალია, საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების პროცესები არ ყოფილა თანამიმდევრული, თუმცა შუა საუკუნეებიდან დღემდე მსოფლიო მედიისთვის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს დამოუკიდებელ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი წარმოადგენს. მედიასამართლის თეორეტიკოსები, მედიაეთიკის მკვლევრები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სასამართლოები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ადამიანის უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობასა და მისი გაუმართლებლად დარღვევის ფაქტებიდან გამომდინარე საფრთხეებს.[1]

დღეს მედიის თავისუფლების, დამოუკიდებლობის აშკარა გაუმჯობესება ძირითადად ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდება. ეს ცვლილებები წარმოდგენილია ტრადიციულ (ბეჭდვურ, ელექტრონულ,) მედიაში სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებითა და სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებით. თანამედროვე მედიაში ევოლუცია სწრაფი პროცესია ეთიკური ნორმატივების განვითარების თვალსაზრისითაც. ისტორიულ ჭრილში ცვლილებების დანახვა თვალსაჩინოა: წარსულს ჩაბარდა პარტიული გაზეთები, მთავრობისადმი ჟურნალისტების მონური მორჩილება, პიროვნების ან იდეების წინააღმდეგ მიმართული ყალბი კამპანიები. ჟურნალისტები უკვე ნაკლებად იღებენ ქრთამს. ბერლინის კედლის დანგრევამ „სოვიეტიზებული" ჟურნალისტიკის მომხრეთა ყველა არგუმენტი გაანადგურა, მაგრამ, მეორე მხრივ, კვლავ პრობლემაა ბაზრის მედიამფლობელებსა და მედიამენეჯერებთან მიმართებაში.[2] სამართლებრივი თვითრეგულაციის საჭიროება ამ კონტექსტში ყოველთვის აქტუალური იქნება. ცალკეული ჟურნალისტი ვერ აგებს პასუხს მედიაში მიმდინარე პროცესებზე. მედიის მფლობელების მხრიდან მაქსიმალური მოგებისა და საზოგადოების პასუხისმგებლიანი მომსახურების პრობლემებია. ამ მხრივ, ნებისმიერი ქვეყნის მედიასამართალი და თვითრეგულირების მექანიზმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვას. ჟურნალისტის მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია არ უნდა ლახავდეს ადამიანის პრაივესს (პირად სივრცეს) და დაუშვებელია ყალბი ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულის მიხედვით, მედიის საქმიანობის განხორციელების პროცესში, ადამიანის უფლებათა სამართლით გარანტირებული ფუნდამენტური სფეროების დაცვა კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება, კერძოდ, ჟურნალისტისთვის რთულ სფეროებად განიხილება პირადი ცხოვრება და ცილისწამება.[3] შეურაცხმყოფელ დებულებებს გამოხატავენ, მაგალითად, სიტყვები: მკვლელი, მატყუარა ან ქურდი. აგრეთვე ადამიანის ღირსების შემლახველ ტიპურ ნიმუშად მიიჩნევა: უპატიოსნობის ან უღირსი საქციელის, ფინანსური უპასუხისმგებლობის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ნარკომანიის დაბრალება. კომერციულ ცილისწამებად აღიარებულია პროდუქციის ან მომსახურების მიმართ დამაკნინებელი გამონათქვამები. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებები მედია ორგანოთა ფუნქციებსა და მათ უფლებამოსილებებზე, რომელთა მიხედვითაც მედიის ინტერესების რეალიზაციის პროცესი ფუნდამენტურად სამართლის უზენაესობითაა შეზღუდული.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, კომპიუტერული ჟურნალისტიკის, ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად იურიდიულ სამეცნიერო წრეებში, მედიამკვლევრებში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ჟურნალისტების მიერ თემების გაშუქებისას გამოწვეულმა სერიოზულმა უზუსტობებმა ქვეყნის კანონმდებლობასთან, რომლებიც ზღუდავენ ამ საქმიანობას. ეს პრობლემები უპირველესად ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის ეფექტიანობას უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და აკმაყოფილებდეს შეზღუდვის აუცილებლობასა და გამოყენებული საშუალების

[1] წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. დაბერეკაშვილი, ვ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 6.

[2] უიქსი, ლ. ი. და სხვები, 2006. მედიამენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 176.

[3] მახარაძე, ი., 2020. პრაივესი ქართულ და დასავლურ მედიაში. ეკონომიკა და ფინანსები. თბილისი: ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 137-138.

მისაღწევ მიზანთან პროპორციულობის საკითხს.[4] სახელმძღვანელო პრინციპად შეიძლება გამოგვადგეს ჟურნალისტების სასამართლო საქმეებთან მიმართებით საერთაშორისო სასამართლოების ეს ფორმულირება: ჟურნალისტს ან გამომცემლობას, რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს პირის პირადი ცხოვრება, არ ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა და გამართლებულია მხოლოდ იმ გარემოებებში, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, გამჟღავნებულ პირადი საკითხების ფაქტებს საზოგადოებისთვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირისთვის ზიანის მიყენებაა. საკმაოდ ნათელია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა არ დაბრალდეს. სიფრთხლეა საჭირო, როდესაც საქმე არ ეხება საჯარო მოხელეებს. საჯარო მოვლენებისას, როდესაც ახალი ამბების ობიექტად კერძო პირი იქცევა, ჟურნალისტი იურიდიული ხრიკების იმედად არ უნდა იყოს და ყოველთვის სრულად, სამართლიანად და ზუსტად უნდა გააშუქოს. პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა მედიის გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, ევროპული კონვენციით უზრუნველყონ მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის გარანტირებული უფლებათა დაცვა. ტრადიციულ და ახალ მედიაზეც ვრცელდება ევროსაბჭოს მოცემული რეკომენდაციები. ესენია: გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციაზე წვდომა, ცილისწამება, პირადი ცხოვრების უფლება და პერსონალური მონაცემები. ამ სახელმწიფოების მედიასაშუალებებს პროფესიული მუშაობის განხორციელებისას ევალებათ ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ აზრის განვითარება, რომ ქართულმა მედიამ სასურველია იზრუნოს რეფორმაზე და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მედია ადვოკატირების განვითარებას.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეათე პრინციპი კი ცალკე გამოყოფს მას - „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი".[5] ამ განმარტების თანახმად, პირადი ცხოვრების უფლება ყველას, მათ შორის საჯარო პირებსაც, აქვთ. მათაც აძლევს შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი ცხოვრება ჟურნალისტების არასასურველი ჩარევისგან, საზოგადოების კონტროლისგან. მედიამ არ გაასაჯაროვოს ისეთი პირადი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობას, პირად ურთიერთობებს, და ა.შ. [6] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო ცნებაა და ზუსტი განმარტება არ აქვს.[7]

მაღალი საჯარო ინტერესისას პირადი ცხოვრების საიდუმლოს ინფორმაციის გაცხადებასა და ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა დღეს მედიის გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. პირად ცხოვრებაში ჩარევისას ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ფაქტი, ამად ღირდა. არსებობს მკაცრი სამართლებრივი და ეთიკური ნორმები იმ ქმედებებისა, რომლებიც, ზოგადად, განიხილება არამართლზომიერ ქცევად, მაგრამ კონკრეტულ გარემოებებში მიიჩნევა ლეგიტიმურად:

- როდესაც ჟურნალისტი მას სჩადის საზოგადოების საკეთილდღეოდ;
- ბოროტება, რომლისგანაც ვიცავთ საზოგადოებას, უნდა იყოს იმის პროპორციული, რა სახის არასამართლებრივ ნაბიჯსაც ვდგამთ მის გასაცხადებლად.

ამ მეთოდების გარდა, ჟურნალისტმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს საკამათო პროფესიულ ტექნიკებს, როდესაც მათ გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელია საზოგადოებისთვის ეფექტიანი ინფორმაციის მოპოვება-გასაჯაროება.

კვლევის დიზაინი - ნაშრომში სამაგიდე კვლევის ფარგლებში დამუშავებული, შესწავლილი და გაანალიზებულია მედიაში პირად ცხოვრებასა და ცილისწამებასთან მიმართებით სხვადასხვა მასალები. გარდა არსებული სამეცნიერო წყაროებში მოცემული ინფორმაციისა, კვლევაში გადმოცემულია პირადი გამოცდილება, რომელიც მედიის სფეროში მუშაობის, სწავლების პროცესში

4 ვორჰოფი, დ. და ჰოედ-რასმუსენი, ი., 2020. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. სახელმძღვანელო დოკუმენტი. აშშ - ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 17.

5 მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი: ევროკავშირი საქართველოსთვის. ევროპის საბჭო. გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838> [წვდომის თარიღი 15 თებერვალი 2021].

6 მუხლი 10, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [წვდომის თარიღი 10 იანვარი 2021].

7 Mencher`s., M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 521.

დაგროვდა.

სამიზნე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებითდაფოკუს-ჯგუფებითსამართლებრივ ნორმებთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვასთან - პირად ცხოვრებასთან, ცილისწამებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევისწავლე და გავაანალიზე შემდეგი სახის ინფორმაცია: ჟურნალისტური, იურიდიული და ამ სფეროს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების დამოკიდებულება პირად ცხოვრებასთან, ცილისწამებთან, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული გამოცდილება სასამართლოსთან მიმართებით. თვისებრივი მეთოდოლოგიით განხორციელებული ზემოთ აღნიშნული კვლევები ეფუძნება ,,ქეის სტადი" მიდგომას: ჟურნალისტების მუშაობის რეალური სიტუაციის ანალიზის მეთოდებს, პრობლემის გამოვლენას, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებასა და ოპტიმალურ გადაჭრას. დაკვირვებას, კონტენტ და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდს. კვლევა ამასთან ეყრდნობა საერთაშორისო მედიების, დამფუძნებლების, ჟურნალისტების მონაწილეობით ჩატარებულ გამოკითხვებსა და ცდებს.

თეორიული საფუძვლები - კრიტიკული გააზრება - კვლევის თეორიული საფუძველია საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმატივებითა და საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო სასამართლოების იურისპრუდენციით, პრეცედენტული სამართლით, მედიაზე ჩამოყალიბებული პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები. მათი ფარგლები და შესაძლო ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლები. შედარებით მედიასამართლებრივი მიზნებისთვის გაანალიზებულია არაერთი დასავლური ქვეყნების კანონმდებლობა, პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებები. ეს საკითხები დაკავშირებულია მედიაორგანიზაციების, ჟურნალისტების საქმიანობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ მექანიზმებთან და თვითრეგულირებასთან.

ქვეყნების ისტორიული გამოცდილებისა და ემპირიული მასალის ანალიზით (ავტორთა განაცხადით: მათი კონცეფცია უფრო ემპირიულია, ვიდრე ნორმატიული), რაც მეტად საინტერესოა, კვლევის პროცესში დასავლური და ქართული მედიიდან (ელექტრონული, ბეჭდვური, ონლაინ) მოძიებულია პირად ცხოვრებასა და ცილისწამებაზე გაშუქებული ფაქტები. ინტერნეტგამოცემებთან დაკავშირებული მრავალი სერიოზული პრობლემა. ინტერნეტგამომცემლების მიმართ შეურაცხყოფის მუხლით საქმის აღძვრა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გახდა შესაძლებელი, სადაც კი ამა თუ იმ ელექტრონულ სტატიას გაეცნობიან. მართლაც, შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანაში ამ მასალებმა ვებგვერდის მომხმარებლის გაღიზიანება გამოიწვიოს, მაგრამ არც ის იქნება მართებული, თუ გამომცემლები ამ მოტივით საინტერესო მასალის გამოქვეყნებას თავს აარიდებენ. პრაქტიკული მასალების ანალიზის შედეგადაც გამოვლინდა არაერთი არსებითი შინაარსის სამართლებრივი პრობლემა. აშკარაა, მედიაში მათი უმეტესობა უშუალო კავშირშია ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებული, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ცილისწამების სათანადოდ დაცვის საკითხებთან. კვლევისას ყურადღება ექცევა მათში გამოვლენილ დადებით და უარყოფით სამართლებრივ გარემოებებს. გამოხატვის თავისუფლებისა და ცილისწამების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი სამართლებრივი რეგულაციები ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობასა და სამართალწარმოების პრაქტიკას ემყარება. მართალია, ევროპის ქვეყნების გამოცდილება თვისობრივად განსხვავებულ ნორმატივებს ადგენს, თუმცა ქართულ რეალობასა და კონტექსტს, სწორედ რომ ამერიკული მოდელი მიესადაგება, რაც ჟურნალისტურ პრაქტიკაში არაერთგზის დადასტურდა.

კვლევის მიზნები - კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიები და, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტების მხრიდან მათში ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლებია.

- კვლევის მიზანია: მედიაში პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის კვლევა, კონკრეტულად, როდესაც პიროვნება, ნებსით თუ უნებლიეთ, ახალი ამბების მოვლენებში ხდება ჩათრეული;
- პირადი ცხოვრების უფლების დაცვასთან და ცილისწამების რეგულირების პრობლემასთან დაკავშირებით არსებული- საქართველოს, აშშ-ისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება და მათი შედარებითი ანალიზი;
- უფრო კონკრეტულად, კვლევა მოიცავს: ჟურნალისტის პროფესიულ გადაცდომებს ცილისწამებასა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევისთვის, როდესაც ჟურნალისტს პირის

Email: info@heraldoflaw.com

ია მახარაძე

ცხოვრება საზოგადოების სააშკარაოზე გამოაქვს. საჯაროობა, რომელიც აუდიტორიას ადამიანის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის. რა შემთხვევაში ვრცელდება „ტაიმზის დოქტრინა“*, თუ საკითხისადმი საზოგადოების ინტერესი ჟურნალისტის მხრიდან გამართლებულია;

- ინფორმაციის მოსაპოვებლად ფარული ელექტრომოწყობილობების გამოყენება პირად ცხოვრებაში ჩარევად განისაზღვრება;
- ცილისწამების ბრალდების წინააღმდეგ ჟურნალისტის თავდაცვის ინსტრუმენტების კვლევა;
- ჟურნალისტების მუშაობის დროს გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა და არაპროპორციული შეზღუდვების დადგენა.

## მედიის თავისუფლება და ჟურნალისტის საქმიანობის საზღვრები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართალთან მიმართებით რამდენიმე სახის მნიშვნელოვან დათქმას გვთავაზობს. ნაშრომში მოცემულია ის ძირითადი დეტალები, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლად გასაჯაროების თვალსაზრისით მედიასამართლის ინსტიტუტს უკავშირდება. გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური და კონვენციური უფლებაა, რომელიც ქართული კანონმდებლობით ფართოდაა დაცული. გამოხატვის თავისუფლებით დაცული ინფორმაციის მოძიება და მიღება მნიშვნელოვანია დემოკრატიული მმართველობისათვის. „საქართველოს კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ 24-ე მუხლით გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და ხელმისაწვდომობა ჟურნალისტის წყაროებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისთვის.[8] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლებით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო. შესაბამისად, დეკლარირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა. აშშ - ს უზენაესმა სასამართლომ ინტერნეტს თავისუფლების იგივე გარანტიები მისცა, რაც მედიას.[9] ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით ერთი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ ხორციელდება. კანონმდებლობის წინაშე დადგა პრობლემა, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერნეტში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები.[10] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონის თანახმად, მედია ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებას, მათ შორის ინტერნეტს. შესაბამისად, კომუნიკაციები ინტერნეტის საშუალებით თავსდება ამ კანონის რეგულირების სფეროში. მეორე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის #3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ“, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულია პირის შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური ინფორმაცია და თუ ამით პირს მიადგება ზიანი, პირს უფლება აქვს, პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა დააყენოს საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-13 მუხლის საფუძველზე. საქართველოში არ არსებობს ცალკე მოქმედი რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტსივრცეში გამოთქმული მოსაზრების ან გავრცელებული ინფორმაციით ზიანის მიყენების შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობის საკითხს. ცილისწამებისას, თუ შესწორება ან უარყოფა არ ჩაითვლება საკმარის ქმედებად, მოსარჩელეს მოპასუხეზე შეიძლება დააკისროს ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3

* აშშ - ს შტატ ალაბამას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „ნიუ - იორკ ტაიმზი სალივინის წინააღმედ“ - აღნიშნული იყო, რომ „კონსტიტუციური გარანტია იმისათვის შეიქმნა, რომ უზრუნველეყო აზრთა შეუზღუდავი გაცვლა-გამოცვლა, რაც ხალხისთვის სასურველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილებების წინაპირობაა“.

8 წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. დაბერეკაშვილი, ვ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ - ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 8.

9 Mencher`s., M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 197.

10 ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 35.

პუნქტით. ასეთი მოთხოვნისას სასამართლომ უნდა განმარტოს, რამდენად დგას ზიანის ანაზღაურების საკითხი. ასეთ დროს კი მოპასუხის მდგომარეობა/სტატუსი და დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი როლიც შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, ზიანის ოდენობის საკითხი შეჯერდება.[11] აქედან გამომდინარე, საკმაოდ ნათელია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ცილისწამება ან პირად ცხოვრებაში ჩარევა არ დაგვბრალდეს. სიფრთხილეა საჭირო, როდესაც საქმე არ ეხება საჯარო მოხელეებს. ახალი ამბების გაშუქებისას, როდესაც ობიექტად კერძო პირი იქცევა, გაშუქება სრული უნდა იყოს. პირად სივრცეში შეჭრის გარდა, პირად ცხოვრებაში ჩარევის სხვა შემთხვევებში ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ახალი ამბავი, ამად ღირდა.

თანამედროვე მედიას დღეს მძიმე ტვირთი აწევს. მან თავის თავზე აიღო ახალი ამბების მოგროვების, გამოქვეყნების, ინტერპრეტაციისა და კომენტარების, ასევე უამრავ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივ ინტერესთა დაცვის ამოცანა. ჟურნალისტებისთვის ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად მიიღონ ინფორმაცია და გადაამოწმონ სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტების ასლები, სახელმწიფო მოხელეთა, ორგანიზაციათა დოკუმენტაცია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამაც დაადგინა, რომ ინფორმაციის მიღების თავისუფლება გულისხმობს საზოგადოებისთვის ოფიციალური ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უფლებას, თუ ამ ინფორმაციის მიღება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. ინფორმაციის წყაროების დაცვის გარანტიები გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის და მედიის თავისუფლების ხარისხის ერთგვარ მარკერად სახელდება დემოკრატიულ საზოგადოებაში.[12] ჟურნალისტური გაერთიანებები ყველა ქვეყანაში აღიარებენ ინფორმაციის წყაროების დაცვის განსაკუთრებულ მექანიზმს. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ პირველი შესწორება სწორედ წყაროს კონფიდენციალობის გამომჟღავნებისგან ათავისუფლებს მათ. მედიის წარმომადგენლები შიშობენ, რომ თუ ინფორმაციის მიმწოდებლის ანონიმურობა არ იქნება დაცული, მაშინ მასმედია გაღარიბდება და სხვა მხრივაც წააგებს. იდენტური წესები მოქმედებს საქართველოშიც. მაგალითად, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-6 მუხლის თანახმად, „ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო“.[13]

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საქართველოში 2009 წელს დაფუძნდა. ამავე წელს მიღებულია ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი მექანიზმი - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. ამ იურიდიული დოკუმენტის მიხედვით, „სიზუსტის უზრუნველყოფისათვის, მაუწყებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება. ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქების შემთხვევაში, მაუწყებელმა ნათლად უნდა მიუთითოს წყაროს ანონიმურობის შესახებ“ (მუხლი 14, პუნქტი 2)[14]. „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი", რომელიც 2006 წლიდანაა მიღებული, მე-5 თავი ეთმობა კონფიდენციაური ინფორმაციის მოპოვებისა და დაცვის სტანდარტიზაციას. დეტალურადაა წარმოდგენილი რეკომენდაციები ინფორმაციის წყაროს ანონიმურობის მნიშვნელობასა და მათი დაცვის აუცილებლობაზე. მასში ჩამოყალიბებულია შეზღუდვის წინაპირობები. პროფესიული მოღვაწეობის დროს ჟურნალისტი ვალდებულია, პატივი სცეს სამართალს, დაკანონებულ ინტერესებს, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს. კანონმა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, იმდენად გაზარდა სიტყვის თავისუფლების დაცვის საზღვრები, რომ თითქმის ხელშეუხებელი აღმოჩნდა, როგორც კეთილსინდისიერი, ისე - არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტი. ერთი მხრივ, ამ რეალობამ თავად ჟურნალისტებს შორის განსაკუთრებით აქტუალური გახადა სტანდარტების საკითხი. კეთილსინდისიერ ჟურნალისტს ბუნებრივად გაუჩნდათ სურვილი, კანონის შიგნით თავად მონიშნონ უფრო ვიწრო

[11] ჯორბენაძე, ს., 2019. სოციალური მედიის სამართალი. თბილისი: გერმანიის თანამშრომლობის ფონდი, გვ. 154 -155.

[12] კაპანაძე, ნ., 2016. რა სხვაობაა ინფორმაციის წყაროს დაცვის პროფესიულ და საკანონმდებლო გარანტიებს შორის? თბილისი: მედია მედიისთვის. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdeblo-garantiebs-shoris> [წვდომის თარიღი 11 აპრილი 2021].

[13] მუხლი 6, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [წვდომის თარიღი 10 იანვარი 2021].

[14] მუხლი 14, საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].



Email: info@heraldoflaw.com

საზღვარი, რომელსაც ისინი ნებაყოფლობით დაიცავენ და არ ისარგებლებენ კანონის მერ მინიჭებული თითქმის განუსაზღვრელი თავისუფლებით. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, გამოხატვის თავისუფლებას ხშირად ემუქრება გაუმართლებლად შეზღუდვის შემთხვევებიდან მომდინარე საფრთხეები. აქედან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ მოხერხდა ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც ამ საკითხთან მიმართებით სერიოზულ გარანტიებს შექმნიდა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაფასებლად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემდეგ სტანდარტებს ადგენს: 1. სიტყვის თავისუფლება იზღუდება მოქმედი კანონმდებლობით; 2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები კონკრეტულ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს; 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ან პროპორციული იმ მიზნის, რომლის მიღწევაც აღმასრულებელ ხელისუფლებას სურს. კანონით შეზღუდვის განსაზღვრულობის კრიტერიუმი გულისხმობს კანონის განმარტებასა და ხელმისაწვდომობას, ხელისუფლების ორგანოებს არ ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეუზღუდავ ან ძალიან ფართო დისკრეციას.[15] შესაბამისად, უნდა ვიმსჯელოთ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების შემოწმების წესსა და ევროპული კონვენციის შესაბამისობაზე. ასევე სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებიდან გამომდინარე საფრთხეებზე. აშშ - ში უმაღლესი სასამართლო კი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები არ არიან პრივილეგირებულნი და ისეთივე მოპასუხეები არიან, როგორც სხვა მოქალაქეები, თუკი მათ სასამართლო გამოიძახებს ინფორმაციისთვის. თუმცა, მედიისადმი სასამართლო უწყების მხოლოდ ასეთ ცალსახა მიდგომით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ამერიკის მრავალ შტატშიც და ცივილიზებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც არსებობს ე.წ. დამცავი კანონები, რომლებიც გარკვეულ პროტექციას უწევს ჟურნალისტს ინფორმაციის იძულებით გამოაშკარავებისგან. ეს კანონები მსგავსია ვექილისა და ექიმის ინფორმაციის კანონის, აგრეთვე საეკლესიო პირთათვის აღსარების საიდუმლო სახით გამჟღავნებული ინფორმაციის დამცავი კანონისა.[16]

ამ კვლევაში რამდენიმე საქმეა მოცემული, რომელიც ხსნის ყველაზე პრეცენდენტულ დავებს. მასში ასახულია გარემოებები, რომლებიც შეეხებოდა მედია საშუალების მხრიდან სამართლებრივ გადაცდომებს, გამოვლენილ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებსა და უფლების დაცვის საკითხებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ჟურნალისტების პრეცედენტული სამართლებრივი საქმე საქართველოს რეალობისთვისაც სამართლებრივად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ 1976 წელს, საქმეში - „სანდი თაიმსი" დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ"- გადაწყვეტილებით დაადგინა ის, რაც მომავალში გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე დისკუსის მთავარ თემად იქცა:

- დემოკრატიული საზოგადოებისათვის გამოხატვის თავისუფლება ძირითადი ფუნდამენტია, პირობაა თითოეული ადამიანის პროგრესისათვის;
- ის განმარტავს არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციასა" და „ხედვებს", რომლებიც მოწონებულია და მიღებულია როგორც არაძალადობრივი ან ინდიფერენტული, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოსათვის, ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისათვის. ასეთებია: პლურალიზმის მოთხოვნა, ტოლერანტულობა და გახსნილი გონება, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება" ვერ იარსებებს.[17]

დიდ ბრიტანეთში ამ დროს გაზეთებმა ჟურნალისტური გამოძიებისას აქტიურად დაიწყეს ფარული მოსასმენი და გადამღები აპარატურის გამოყენება. ამ გამოცემების მფლობელები თავადაც მდიდარი ბიზნესმენები იყვნენ, მათი დახმარებით ჟურნალისტები მოსასმენ ტექნიკას ამონტაჟებდნენ კერძო ბიზნესმენთა ან პოლიტიკოსთა სამუშაო

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარ. 7.

[16] მახარაძე, ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, გვ. 132.

[17] წულუკიძე,გ.,კაკაბაძე,რ.დაბერეკაშვილი,ვ.,2020.გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. თბილისი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 8.

ადგილებზე, კაბინეტებში და შემდეგ მათი მაკომპრომეტირებული საუბრების სრულ მასალებს ასაჯაროებდნენ. დასავლეთის მედიაში მე-20 საუკუნის 60-იანი წლები ჟურნალისტიკისთვის, როგორც ე.წ. მეოთხე ხელისუფლების შტოსთვის, პროდუქტიული პერიოდია. ჟურნალისტები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ისტებლიშმენტს სერიოზულ გამოცდას უწყობდნენ. ჟურნალისტიკა ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებდა სხვადასხვა პროფესიულ იარაღებს და მეთოდებს: შანტაჟს, წყაროების მოქრთამვას, შენიღბვას (თავის სხვად გასაღებას), დანაშაულის განზრახ ჩადენას, ფარულად ფოტო, ვიდეო - აუდიო გადაღებებს და ჩანაწერებს. აშშ-ში არ არსებობს კანონი პრესის შესახებ, კონსტიტუციის პირველი შესწორება შეიცავს მედიის თავისუფლების გარანტორებს. მისი შინაარსი განსაზღვრავს აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ჩარჩოებს. [18] დიდი ბრიტანეთი ათწლეულების განმავლობაში პრესისთვის უმკაცრეს კონსერვატიულ ჩარჩოებს აწესებდა: ბევრი კანონი არსებობდა, რომლებიც ზღუდავდნენ სიტყვის თავისუფლებას და ხელს უშლიდნენ კვლევითი, საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას. მედიის ყველა ნაკლისგან გათავისუფლებას მისი თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სამართლებრივ და ეთიკურ მოქცევაში ხედავდნენ. დიფამაციის კანონამდე სწორედ ასეთი აზრი იყო ანგლო-საქსურ ქვეყნებში. მედიის გადარჩენა ბაზრის, სამართლებრივი ჩარჩოებისა და ეთიკის კომბინაცია უნდა ყოფილიყო. 1998 წელს ბრიტანეთი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას შეუერთდა. ამისათვის გაერთიანებულმა სამეფომ საკუთარი კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება აიღო. ეს პროცესი 2000 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ბრიტანელებმა ძალზედ გონივრულად შემოინახეს შედარებით კონსერვატიული რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების დაცვას - და სამართლის ეთიკის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გააღვივეს. მედიის მომხმარებელს, ფაქტობრივად, საზოგადოების სამივე კომპონენტი ესაჭიროება: კანონი, ეთიკა, ბაზარი და მედიაპროდუქტის ხარისხის კონტროლი.[19]

აღნიშნული პროცესის კონტექსტში ყველაზე ხშირად და ეფექტიანად ჟურნალისტიკის თავისუფლების, პრივილეგიების შეზღუდვას დიფამაციის კანონი აწესებს. დიფამაცია ინგლისის კანონმდებლობაში განიმარტება, როგორც: „არამართალი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც აზარალებს პიროვნების რეპუტაციას და ამცირებს მას საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის თვალში". დიფამაციურად რა შინაარსის ინფორმაცია ან განცხადება შეიძლება ჩაითვალოს, დაკონკრეტებული არაა. თუმცა ეს გარემოება ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მედიისთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვის, არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ასეთი უფლებრივი კომპონენტის შეუსრულებლობით აუცილებლად ირღვევა საერთაშორისო სამართლებრივი და საქართველოს კონსტიტუციის მე - 15 მუხლი.[20] ამ დროს გასათვალისწინებელია, მედია გამოცემამ ან ჟურნალისტმა ინფორმაციის გავრცელებისას პიროვნებას არ მიაყენოს ზიანი. ჟურნალისტური მასალის ავტორმა პირადი ცხოვრების რეგულირების კონსტრუქცია და შინაარსი დაიცვას. კანონი ამასაც არეგულირებს. პირადულზე მედიას შეუძლია გამოაქვეყნოს მხოლოდ გადამოწმებული და ამ ინდივიდთან შეთანხმებული ცნობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტის ქმედება თავხედობად და დაუდევრობად იქნება მიჩნეული. საზოგადო მოღვაწეთა შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა იყოს გადამოწმებული, თუმცა არა ყოველთვის შეთანხმებული. თუ გარკვეული მასალა არ შეიცავს დადასტურებულ ჭეშმარიტებას და გამომცემელმა ეს უწყის, მაშინ იგი ვალდებულია, მიუთითოს ინფორმაციის საეჭვოობაზე. საპირისპირო შემთხვევაში ჟურნალისტის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ბოროტი განზრახვა. თავხედობისა და ბოროტი განზრახის გამიჯვნა იმიტომ მოხდა, რათა დაცულიყო დებატები საკამათო გამოცემებზე და შენარჩუნებულიყო საზოგადოებრივ მოხელეთა პასუხისმგებლობა. მხოლოდ სიყალბე რომ ყოფილიყო საყრდენი სტანდარტი, მედიის წარმომადგენლებს ალბათ იძულებით მოუწევდათ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელშიც სულ ცოტა რამ მაინც იქნებოდა სადავო. ამ საქმეს უსაფრთხოდაც გააკეთებენ. ასეთი ტაქტიკა მათ სასიკეთოდაც იმუშავებდა და უცხო თვალისგან დამცავ ფარად

[18] დე ტოკველი, ა., 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 183.

[19] ბერტრანი, კ. ჟ., 2004. მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სიტემა. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 18.

[20] პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. 2014. ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში. გვ. 9.

გამოდგებოდა. [21]

სავარაუდოდ, მომავალში ცილისწამებასა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი სერიოზული პრობლემა იჩენს თავს: ჟურნალისტის საქმიანობის განხორციელებისას თავისუფლების შეზღუდვის მაღალი რისკები, პირადი ცხოვრების დაცული უფლებრივი კომპონენტი, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე. ჟურნალისტური ორგანიზაციები, მედია კომპანიები, ჟურნალისტები წარმოადგენენ სახელისუფლებო ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს (მეოთხე შტოს) და შეიძლება დაექვემდებარონ სამართლებრივ და ეთიკურ დონეზე კრიტიკას. ამავდროულად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები ქმედების უფრო ფართო ფარგლები: ზოგჯერ საჭირო ხდება რესპოდენტების მოტყუება, თავის სხვად გასაღება, პირად საკუთრებაში შეჭრა, კანონის დარღვევაც კი იმისათვის, რომ მასალის მოკვლევა, გამოძიება ჩატარდეს და საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამჟღავნდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მედია საქმეების მიმართ დროთა განმავლობაში შეიცვალა. ახლა მოსამართლეების მიდგომები უფრო მეტად გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენაა მიმართული, ვიდრე ეს ჟურნალისტების წინააღმდეგ წარმოებული საქმეების პრაქტიკის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იყო. თანამედროვე მედიაპრაქტიკა მრავალ ისეთ ზოგად პრინციპსა და პროცედურას იცნობს, რომელთა გამოყენება მედიამენეჯერებს, ჟურნალისტებს შესაძლებლობას აძლევს, მინიმუმამდე შეამცირონ შესაძლო სამართლებრივი პრობლემები ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების თემების გაშუქებისას.

დიფამაციის ობიექტია პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ასევე პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც განუყოფელია პიროვნებისგან და არ ექვემდებარება ფულად შეფასებას; ეს ღირებულებები ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას. მასთან დაკავშირებით კი წარმოიშვება მყარი და სოციალურად ერთგვაროვანი არაქონებრივი დაცვითი ხასიათის ურთიერთობები.[22]

საქართველოს კონსტიტუციაში განმარტებულია „რეპუტაციის“ სინონიმად და ამდენად, პატიოსანი სახელის გაგება დაქვემდებარებულია ღირსების გაგებასთან: „წინასწარი ყალბი ცნობების გავრცელება, რომლითაც ავტორიტეტს უფუჭებს მეორე ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას ან ძირს უთხრის მის რეპუტაციას“. ამდენად, ცილისწამების გაგება შეიცავს სამ ნიშანს: 1. ღირსებისა და პატიოსნების დამცირება; 2. ამ ქმედების წინასწარგანზრახულობა; 3. გავრცელებული ცნობების სიყალბე. ამგვარად ცილისწამება - ღირსებისა და პატიოსნების ისეთი შელახვაა, რომელიც უკავშირდება წინასწარ განზრახულ სიცრუეს, მაგრამ სრულებით არ იგულისხმება უკადრისი ფორმის აუცილებლობა. დამწყებთათვის ეს იდუმალი მხარეა, სადაც გზის ყველა მაჩვენებელზე წერია „ნუ იზამ“. გამოცდილი ჟურნალისტისთვის ცილისწამება ყურადსაღები რეალობაა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში არსებობს ოთხი ძირითადი პრინციპი, რომელიც ჟურნალისტს იცავს ხელისუფლების ნებისმიერ ჩინოვნიკთან დაპირისპირებისას, ამათგან პირველი - „ცილისწამებაა“.[23] 2004 წლიდან დიფამაცია აღარაა სისხლის სამართლებრივი დასჯადი ქმედება, შესაბამისად, არც ერთი ჟურნალისტი სისხლის სამართლის კანონით არ აგებს პასუხს. ცილისწამების ბრალდებით (მაგალითად, შევარდნაძის პრეზიდენტობისას გაზეთ „თრი-ალეთის“ ჟურნალისტის - საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული იყო სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 148 - ე მუხლით).[24] უპირველეს ყოვლისა ამ კანონით ცილისწამების დეკრიმინილიზაცია განხორციელდა. ცვლილების მიხედვით, ცილისწამების შესახებ კოდექსის 148-ე მუხლი გაუქმდა. ხსენებული კანონი ცილისწამებას განსაზღვრავდა როგორც დანაშაულის ბრალდებას, ცილისმწამებელი ისჯებოდა გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასიდან ორას საათამდე.

ჟურნალისტებს არა მხოლოდ სახელ-მწიფოსგან, არამედ კერძო პირებისა და ორგანიზაციებისგანაც იცავს. ცილისწამება დასჯადი რომ არაა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ

[21] მახარაძე, ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანა-მედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, 131. გვ.

[22] ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი: გვ. 229.

[23] მუხლი 17, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

[24] მახარაძე, ი., 2010. თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა. თბილისი: საარი, გვ. 304.

ცილისწამებისას პირი სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რა თქმა უნდა, მრავალ პუბლიკაციებსა და გამოსახულებებში ამოიცნობთ ცილისწამების ნიშნებს. ცილისწამების წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს მოქმედი სამართლებრივი მექანიზმია: სამოქალაქო დავა, მტკიცების ტვირთის გადანაწილება, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელეს შეუძლია ცილისწამებისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. სასამართლო განხილვებისას კერძო პირებისა და საჯარო მოხელეების გამიჯვნა მოხდა. სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს ცილისწამებად მასალა, რომელიც: ზარალს აყენებს პირის პროფესიულ საქმიანობას ან სამსახურს, ახდენს პირის დისკრედიტაციას, აღძრავს საზოგადოებრივ დაცინვას ან ზიზღს, ასევე კანონით იცავს ცილისწამებაში ბრალდებული გამოცემების ინტერესებს თუკი ავტორი დაადასტურებს, რომ მასალის მომზადებისას მნიშვნელოვანი ზომები მიიღო ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ამით ბრალდების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. უმეტეს შემთხვევაში, ცილისწამებლური მასალის გამოქვეყნება მედიაში საშიშროებას არ წარმოადგენს. აღსანიშნავია, ასევე, რომ კრიტიკული გამოხატვის თავისუფლების დაცვა გამყარებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი რიგი პროგრესული პრეცედენტებითაც. ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენისას მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსარჩლისგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება. ასეთ დანაწესს კანონი ითვალისწინებს იმ მიზნით, რომ დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უკანონო შეზღუდვისგან. აუცილებელია განვმარტოთ, რომ „აშკარად უსაფუძლო სარჩელის" დეფინიცია ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (მუხლი 178) ჩამოყალიბებულია სარჩელის შინაარსი, მითითებულია ის იურიდიული ფაქტები, რომლებიც ქმნის სარჩელის საფუძველს და მისი შეცვლის უფლება სასამართლოს არ აქვს. ეს მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია. სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სარჩელი. სასამართლო პრაქტიკა იცნობს უსაფუძვლობის გამო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის უმარავ შემთხვევას, მაგრამ მოსარჩელეს არ აკისრებს მოპასუხისთვის ფულადი ანაზღაურების გადახდას.[25] აშშ-ის მედიის ამ კატეგორიის საქმეებზე *სასამართლო პრაქტიკა ასე ჩამოყალიბდა: სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას* ჟურნალისტები, რედაქტორები, პროდიუსერები და მედიამენეჯერები მზად უნდა იყვნენ იმისთვისაც, რომ ცილისწამების შესახებ საქმის განხილვისას მოსარჩელე აუცილებლად მოითხოვს მათი სულიერი მდგომარეობის შეფასებას. ამით იგი შეეცდება დაამტკიცოს, რომ ჟურნალისტები ან დაუდევრად მოიქცნენ, ან თავიდანვე იცოდნენ გამოქვეყნებული ფაქტების სიყალბის შესახებ. მედიამენეჯერებმა წინასწარ უნდა გააფრთხილონ თანამშრომლები, რომ შეინახონ სამსახურებრივი ჩანაწერები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება, თუ როგორ მოიპოვა მასალა და რის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ იგი სამართლიანია და ზუსტი. ახალი ამბების პროგრამებში, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც ჰყავთ გამოყოფილი, რომელიც თვალყურს ადევნებს ცილისწამებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს შტატის ან ფედერალურ კანონმდებლობაში. მედიასაშუალებების ხელმძღვანელები რეპორტიორებს ავალებენ, გულდასმით ჩაიწერონ შენიშვნები და შეხედულებები, გამოიყენონ ერთზე მეტი წყარო, გადაამოწმონ მასალები და/ან მოიძიონ დამატებითი საბუთები იმ დებულებათა დასამტკიცებლად, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება ცილისმწამებლურად აღიქვას, აგრეთვე მოიპოვონ ანალოგიური სასამართლო დოკუმენტები (მაგ.: საჩივარი არხის საქმიანობის გაგრძელების აკრძალვის თაობაზე და დადგენილებები), რაც შეიძლება მტკიცებულებად გამოადგეთ. ასევე ავალებენ, პროცესზე, საქმის მოსმენისას, ხშირად გამოიყენონ სიტყვები - ამტკიცებენ და მტკიცებულება, თავი აარიდონ პუბლიკაციას, გადაცემებს იმის შესახებ, რომ ოფიციალური პირი საქმის აღძვრას ან გამოძიებას აპირებს (მაგრამ ჯერ არც ერთი არ გაუკეთებია და არც მეორე), აგრეთვე დაელოდონ, ვიდრე საქმე ოფიციალურად არ აღიძვრება, ასევე მასალა გაშუქებამდე ან გავრცელებამდე წააკითხონ იურისტს, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი რაიმე ცილისმწამებლურს არ შეიცავს.[26]

ხშირ შემთხვევაში ცილისმწამებლური მასალის გამოქვეყნება მედიაში საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ იგი ლეგიტიმურია. „ლეგიტიმურია" იმას ნიშნავს, რომ, თუ მასალა წარმოადგენს საჯარო ოფიციალური ორგანოს მუშაობისა და მათი სხდომებზე, თათბირებსა

[25] ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი, გვ. 233.

[26] უიქსი, ი., ლ. და სხვები, 2004. მედია მენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 174.

თუ პროცესებზე წარმოთქმულის ზუსტ ანგარიშს. საჯარო დოკუმენტაციის შინაარსი უმეტესად ლეგიტიმურია.

ცილისწამების ბრალდების წინააღმდეგ ჟურნალისტის სამართლიანი თავდაცვის საშუალებებია - კომენტარი და კრიტიკა, თუკი კომენტარი უკეთდება ან გაკრიტიკებულია გაწეული სამუშაო და არა კონკრეტული პერსონა, ეს ცილისწამებად არ მიიჩნევა. ეს ბალანსი დაირღვევა სწორედ იმ შემთხვევაში, თუკი ცილისწამებისათვის ისევ ამოქმედდება სისხლისსამართლებრივი ან თუნდაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შებრუნდება მტკიცების ტვირთი.

შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიებია და, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტების მხრიდან მათში ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლები.[27] არ არსებობს იდენტური ფაქტები, წესები, რომელთაგან ყველა განურჩევლად და ერთნაირად საჭიროა მრავალი ჟურნალისტური წყაროს, სუბიექტის, საგნისა თუ მოვლენის მიმართ. ყოველი ახალი მასალა ჟურნალისტისგან პროფესიული ქცევის გადაფასებას მოითხოვს: გარკვეულ სფეროებში შესაღწევად და ტყუილის გამოსააშკარავებლად ჟურნალისტებს უწევთ კანონის დარღვევა. მაგალითად, საზოგადოების ინტერესების დაცვის გათვალიწინებით, ბევრი ჟურნალისტი უსაფრდება უარყოფით პერსონაჟებს (მოწინააღმდეგეებს). ჩართული ტექნოლოგიებით აღჭურვილი შეიძლება გაუფრთხილებლად შეიჭრას ვინმეს სამუშაო ადგილზე, კომპანიასა და კერძო საკუთრებაში. ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების უფლება ირღვევა, ადამიანის პრივატული საკითხები საზოგადოების სააშკარაოზე გამოაქვთ და ამ საჯაროობის შედეგად მედიის ობიექტივში მყოფი პერსონაჟი მორალურად ზიანდება. ცნება „სახელის გატეხისგან" განსხვავებით, რომელსაც ანგლოამერიკულ სამართალში ხანგრძლივი ისტორია აქვს, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა მედიაში უფრო ახალი იურიდიული საკითხია და ბევრად მეტი უპასუხო კითხვაა, ვიდრე ცილისწამებისას.[28] სასამართლოებმა უნდა გაავლონ მკვეთრი ზღვარი საზოგადოების უფლებას და ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლებას შორის.

ჟურნალისტებისთვის პირად ცხოვრებაში ჩარევის რამდენიმე საკითხი წარმოადგენს დილემას:

- ინფორმაციის საჯაროობა, რომელიც საზოგადოებას ადამიანის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის (ცილისმწამებლურია);
- პირის შესახებ პირადული ფაქტების გამჟღავნება. ფაქტები თუ ოფიციალურ დოკუმენტებშია გამოყენებული, მათი გამოქვეყნება დასაშვებია. იმ შემთხვევაში თუ მათ მიმართ საზოგადოების ინტერესი არგუმენტირებული არაა, მათი გასაჯაროება დაუშვებელია.

ჟურნალისტის უნებართვო შეჭრა ადამიანის პირად ცხოვრებაში მასალის მოსამზადებლად ან ფოტოს, აუდიო-ვიდეოს ჩასაწერად, გადასაღებად - მიყურადება და კერძო საკუთრებაში უნებართვო შეღწევა დაუშვებელია. ადამიანის სახლში ან სამსახურში ელექტრომოწყობილობების დაყენება უკანონოა. საზოგადოებრივი ინტერესი აქ გამართლებულად არ გამოდგება...[29]

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არასდროს იქნება და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. ასევე თითოეული ინგრედიენტის პროპორცია რთული განსასაზღვრია: მათზე გავლენას ადგილობრივი ქვეყნის კულტურა და ისტორიული პრეცედენტები ახდენენ. რაც უფრო მაღალია საზოგადოებისათვის ინფორმაციის ღირებულება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პირის პირად ინტერესს და პირიქით. [30]ჟურნალისტმა ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გაშუქებისას კარგად უნდა გაიაზროს რის ან ვის მიმართ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი: პრობლემის, რასაც პირადი ინფორმაცია წარმოაჩენს, თუ იმ პირის ცხოვრების მიმართ, რომელიც მასალაშია წარმოდგენილი. ყოველმა ამგვარმა ჩარევამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკაზე. ამ სიტუაციაში ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება კანონიერი იყოს, გამართლებულად ჩაითვალოს მხოლოდ პირველ შემთხვევაში. რაც უფრო ინტიმურ საკითხს ეხება ინფორმაცია, მით უფრო ძლიერი უნდა

---

27 მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე, გვ, 518.

28 იქვე. გვ. 519.

29 Larry, J. and Sabato, F. F., 1991. How Attack Journalizm Has Transformed American Polittcs. New York: The Free Pres, pp. 125-126.

30 მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. ევროპის საბჭო. ევროკავშირი საქართველოსთვის, გვ. 11. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

იყოს ავტორის მხრიდან ფაქტების წარმოდგენის არგუმენტაცია. მაგალითად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიცილები, რომელთაც თან შეჰყავთ ჟურნალისტები, არღვევენ კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას. პოლიციელს პასუხისმგებლობა ეკისრება, ჟურნალისტს კი შეიძლება კერძო საკუთრებაში შეჭრისთვის უჩივლონ.[31]

ასევე ამერიკაში სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურმა სტანდარტებმა და პრაქტიკამ, მედიასამართლის იურიდიული ლიტერატურის შესწავლამ წარმოაჩინა მასმედიის მარეგულირებელი კანონების, წესებისა და ინსტრუქციების მუდმივი ცვლილებების აუცილებლობა. ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მომენტებზე, როდესაც მედიაორგანიზაციებსა და სასამართლო ორგანოების ურთიერთობისას იურიდიული დახმარების მისაღებად სპეციალისტის კონსულტაცია ხდება საჭირო. ჟურნალისტებმა მასალების გაშუქებისას სამართლებრივ საკითხების ამ სპექტრს (ცილისწამება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.) თავი რომ გაართვან, კანონები კარგად უნდა შეისწავლონ. ამიტომ ყურადსაღებია მეოთხე ხელისუფლებისთვის იმ უმთავრესი პრინციპების ცოდნა, რომლებიც მედიის წარმომადგენლებს სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილებაში დაეხმარება.

## მედიაში სამართლებრივი პრობლემების – ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის თავიდან აცილება

თანამედროვე მედიაპრაქტიკა მრავალ ისეთ ზოგად პრინციპსა და პროცედურას იცნობს, რომელთა გამოყენება ჟურნალისტებს შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აიცილონ ან შეამცირონ შესაძლო სამართლებრივი პრობლემები.

პირადი ცხოვრების უფლებას კანონი იცავს. ადამიანის ცხოვრების პირადული დეტალები შეიძლება გაშუქდეს, თუ მასალა საზოგადოებისთვის საინტერესო პერსონას ეხება და მეტად შეურაცხმყოფელი არაა. საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული ნორმები ისეთი ძირითადი პრინციპების რეგულირებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სიტყვის, ბეჭდვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვაზე, „ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ" გაწერილია ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში მასმედიის საშუალებებზე. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური კანონი კრძალავს მავთულიანი თუ უმავთულო სატელეფონო საუბრების მოსმენას, თუ ისინი პირადი ცხოვრების საკითხებს ეხება. 1994 წლიდან ეს კანონი მობილურ და უმავთულო კომუნიკაციებზეც ვრცელდება. ფედერალური კანონი ასევე კრძალავს ინფორმაციის საცავებში არასანქცირებულ შეღწევას ან მათი მასალების ელექტროკომუნიკაციური მომსახურებისათვის გამოყენებას. ჟურნალისტები, რომლებიც სატელეფონო საუბრებს ჩაიწერენ, თათბირის ჩასატარებელ ოთახში მოსასმენ აპარატურას დაამონტაჟებენ ან ეცდებიან, პირადი სატელეფონო შეტყობინებები ხელში ჩაიგდონ, შეიძლება პასუხისგებაში მიეცნენ.[32]კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ანიჭებს დამოუკიდებლობას მასმედიის საშუალებებს, მეორე მხრივ, კი აღიარებს ადამიანის ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, მასმედიის საშუალებების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მასმედიის კონტროლს საზოგადოების მხრიდან.

სამართლის ისტორიაში ჟურნალისტიკაზე ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებს თუ დავეყრდნობით, დისკუსიები, ერთი მხრივ, პიროვნებისა და ჟურნალისტიკის, როგორც მეოთხე ხელისუფლების, როლის, ხოლო მეორე მხრივ, კერძო და საჯარო სფეროების ურთიერთგამიჯვნაზე ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის ყავის სახლებში პირველ პერიოდულ გამოცემებში აღმოცენდა. პრესის დამფუძნებლებს თავიანთ ამოცანად სწორედ სიმართლის ძიება მიაჩნდათ. გამოცემამ „პარლამენტ სკაუტმა", რომელიც 1643 წელს გამოიცა, ჟურნალისტიკაში სიახლე შემოიტანა.[33] ეს იყო ინფორმაციის ძიებისა და ფაქტების აღმოჩენის მიზნით ძალისხმევის დახარჯვის აუცილებლობა. მომდევნო წელს გამოცემას, რომელსაც უკვე სპაი („ჯაშუში") ერქვა, საზოგადოებას ამცნო, რომ გეგმავდა - სამეფოში დიდ თამაშში ჩადენილი

---

[31] ჰიუსტონი, ბ., 2011. ჟურნალისტ გამომძიებლის სახელმძღვანელო. თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, გვ. 202.

[32] უიქსი, ი. ლ. და სხვები, 2004. მედია მენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 177.

[33] გოგიჩაიშვილი, ა. და ხაჟომია, ნ., 2003. საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები. თბილისი: ამერიკის საბჭო. ავტოგრაფი, გვ. 20.

თაღლითობები გამოევლინა. კომპრომატების მოსაძიებლად შეიძლება გამოეყენებინათ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: შენიღბვა, საიდუმლო ქმედებები, ჩარეულიყვნენ საჯარო პირების პირად ცხოვრებაშიც, თუ ამისი საჭიროება იქნებოდა. სიმართლის ძიების ჟურნალისტური მეთოდების გამოყენების ეს ადრეული მაგალითები ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ პრესას სრული კონსტიტუციური თავისუფლება მიენიჭა. „სკაუტისა" და „სპაის" მსგავსი პერიოდული გამოცემები მთავრობის ქმედებებს მანამდე არნახულ გამჭვირვალებას სძენდნენ. ამ ჟურნალების გამოჩენამდე მთავრობის საქმიანობა ცნობილი იყო მხოლოდ პრივილეგირებული ფენებისთვის, მათთვის, რომლებსაცსახელმწიფოსთანკერძოკომერციული საქმიანობა აკავშირებდათ ან უშუალოდ იყვნენ ჩართულნი მთავრობის საქმეებში. დანარჩენი საზოგადოების ცოდნა თავისი მმართველობის შესახებ უსაფუძვლო ჭორებსა და მთავრობის ოფიციალურ განცხადებებს ემყარებოდა. ეს ახალი პერიოდული გამოცემები იმ პუბლკაციებს აქვეყნებდნენ, თუ რას აკეთებდა მთავრობა რეალობაში. ამ გამოცემებმა ჩამოაყალიბეს ჟურნალისტური გამოძიება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პრინციპი, რომელმაც ჟურნალისტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა საშუალებებისგან განაცალკევა. სწორედ სოციალური მაკონტროლებლის ფუნქციამ აქცია ჟურნალისტიკა, ჯეიმს ედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლების ბასტიონად", ხოლო სიმართლე პრესის საუკეთესო დამცველი გახდა. ჟურნალისტიკის ეს ტენდენცია ჯონ პიტერ ზენგერის საქმეშიც გამოიკვეთა. მომდევნო წლებში კონსტიტუციურად დაცულ პრესასა და სამთავრობო ინსტიტუტებს შორის გამწვავებულ კონფლიქტის პირობებში უზენაესი სასამართლო სწორედ პრესის მაკონტროლებელ როლს ემყარებოდა. სასამართლოს არაერთხელ მოუხდა ამერიკული საზოგადოებისთვის პრესის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ხაზგასმა - დაწყებული საქმიდან- ნიარი მინესოტის შტატის წინააღმდეგ, რომლის დროსაც მთავრობას აეკრძალა ნებისმიერი ჟურნალის გამოქვეყნების შეზღუდვა იმ შემთხვევების გარდა, როცა პუბლიკაცია უშუალო და ძლიერ საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას. 1964 წელს საქმემ „ნიუ-იორკ ტაიმზი სალივენის წინააღმდეგ" რადიკალურად შეცვალა კანონმდებლობა ცილისწამებაზე: ეს პრესას შესაძლებლობას აძლევდა საჯარო მოხელეთა თავისუფალი გაშუქებითა და კომენტირების გზით წინ წამოეწია საზოგადოების აქტუალური პრობლემები. სასამართლო კანონის ფარგლებში მეთოდურად აგებდა უსაფრთხო და საიმედო თავშესაფარს ჟურნალისტებისთვის, რათა ამ უკანასკნელთ უშიშრად შესძლებოდათ საზოგადოებისთვის საჭირო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ამ საზოგადოების კეთილდღეობას შეეხებოდა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰოგო ბლეკი რევოლუციიდან ორასი წლის შემდეგაც კი განაგრძნობდა პრესის მაკონტროლებელ ფუნქციის მნიშვნელობაზე ლაპარაკს, როცა წერდა: „პრესა ისე იყო დაცული, რომ მთავრობის საიდუმლოებების გამომჟღავნება და ხალხის ინფორმირება შეძლებოდა". მხოლოდ თავისუფალ, შეუზღუდავ პრესას შეუძლია მთავრობაში მიმდინარე უკანონო საქმიანობის გამოვლინება. თუმცა, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ ჟურნალისტიკაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული ჟურნალისტების ვალდებულებებია და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლები[34]. დღეს პირადი ცხოვრების უფლების არსი - არსებული სამართლებრივი კატეგორიის სახით- მე - 19 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. აშშ-ს კონსტიტუციის მეოთხე შესწორება იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას, რომელიც მოიცავს საკუთარი სხეულის, სახლის, საბუთებისა და ქონების დაცულობის უფლებას. აშშ-ის სასამართლოები განსაზღვრავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, როგორც შეჭრის ნებისმიერ აქტს, რომელიც განხორციელდა პირის უნებართვოდ, მის საკუთრებაში უნებართვო შეჭრისა და უსიამოვნო პირადული ფაქტების (თუნდაც ჭეშმარიტების) გამოქვეყნების ჩათვლით. ამით ირღვევა პირის გონივრული მოლოდინი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. ამერიკის კონსტიტუციის მეოთხე შესწორება იძლევა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული შტატისა და ფედერალური კანონების დარღვევის შემთხვევაში ჟურნალისტს შეიძლება ბრალი წაუყენონ პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის, უკანონო შეჭრის, მიყურადებისა და უნებართვო

[34] Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimizing the Victim. USA: Newspapercoverage of Rape: Dilemmas on Dradline. გვ. 10. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims.

თვალთვალის მუხლით.[35] ჟურნალისტების პირადი ცხოვრების უფლებებთან დაკავშირებით აშშ-ის მეოთხე შესწორებას ბევრი მსგავსება აქვს ცილისწამებასთან. არსებითი განსხვავებაცაა, კერძოდ, ესაა: ცილისწამების მუხლით სარჩელის შეტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჟურნალისტური მასალა სიცრუეს შეიცავს.

პირადი ცხოვრების ხელყოფაში ჟურნალისტს შეიძლება ბრალი დასდონ მაშინაც კი, თუ რეპორტაჟში ყველაფერი სიმართლეა. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევებშია, როდესაც ინფორმაცია უკვე საჯარო და ხელმისაწვდომია ან, თუ გაშუქებული მასალა ეხება საჯაროდ მომხდარ ქმედებებს. ასეთი, თუნდაც, მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნებისას პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ ჟურნალისტებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოპოვებულ ინფორმაციას გადმოსცემენ სრულად და ზუსტად.[36] მაგალითისთვის, ცილისწამების დაცვის მნიშვნელობაზე ჟურნალისტიკაში იმ პერიოდისთვის ერთ-ერთ აღიარებულ კვლევად მიიჩნევა 1721 წელს ჯეიმს ფრანკლინის დაფუძნებულ გამოცემაში ასახული კრიტიკული სტატიების სერია. მაგალითად, 1721 წელს ჯეიმს ფრანკლინმა თავის დაფუძნებულ გაზეთში „New - England Courant" კრიტიკულ სტატიათა სერიალი გამოაქვეყნა. სტატიების თემა ეხებოდა პურიტანული ეკლესიის ლიდერებს, რომლებიც ბოსტონში ყვითელას ეპიდემიას ახალაღმოჩენილი ვაქცინით ებრძოდნენ. ფრანკლინი ირწმუნებოდა, რომ ამ ვაქცინით აცრილ ადამიანებს ავადმყოფობა უმძიმდებოდათ. მან ასევე წარმოადგინა მასალები, როდესაც ცალკეულ ადამიანებს ყვითელა სწორედ აცრის შედეგად დაემართათ. ფრანკლინის გამოძიებამ საზოგადოებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რამაც ვაქცინაციის პროგრამის შეჩერება გამოიწვია. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ვაქცინა მართლაც კურნავდა ავადმყოფებს, რამაც ფრანკლინის რეპუტაცია შეარყია. ბოსტონის ადმინისტრაციამ 1722 წელს ფრანკლინი დააპატიმრა, ხოლო მასაჩუსეტის ასამბლეამ მას გაზეთის გამოცემის ლიცენზია ჩამოართვა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შემქნელი პირველი ჟურნალისტი გახდა.[37] სწორედ ფაქტების შეცვლით თუ დამახინჯებით ჟურნალისტმა თავისი აზრი შესძინა რაღაც გარკვეულ გავლენას.

აღმასრულებელ შტოს ნაცადი აქვს მედიის საქმიანობის შეზღუდვა. 1991 წელს სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებისას, საბრძოლო ველზე შეღწევა ლიმიტირებული იყო და ინფორმაცია მანამ არ ქვეყნდებოდა, სანამ საბოოლოდ არ აღმოიფხვრა ის საფრთხე, რომელსაც შეეძლო, დამუქრებოდა როგორც საბრძოლო ოპერაციების წარმატებას, ასევე იქ მყოფთა სიცოცხლეს. მშვიდობიანობის დროსაც კი მთავრობა იყენებს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ინფორმაციის მიღებას ამკაცრებს, თუ კი გახდება რა ეს ინფორმაცია საჯარო, ზიანს მიაყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. მას მერე, რაც ინფორმაციის დახარისხება წავიდა ხელისუფალთაგან არა აუცილებლობის, არამედ მატერიალური კუთხით, ჟურნალისტები დღენიადაგ ცდილობენ მიმდინარე პრობლემების სიმწვავე დაანახონ მაღალჩინოსნებს, რათა ამის თაობაზე მიიღონ მრავალფეროვანი ცნობები, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ როგორც მედიის წარმომადგენლებს ინფორმაციის მიღება ესაჭიროებათ და ამის უფლება აქვთ.

## კვლევის შედეგები

მედიაში ცილისწამება და პირადი ცხოვრების დარღვევა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

კვლევის ფარგლებში მომზადებული სიღრმისეული, სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგად მიღებული პასუხებით, მოსაზრებებით, დაკვირვებით და სამაგიდე კვლევებიდან გამომდინარე ჩანს, რომ კანონმდებლობა ცილისწამებასა და პირადი ცხოვრების უფლებაზე ჟურნალისტის საქმიანობას საზღვრებს უწესებს. ისინი მაინც სპეციფიკურ სამართლებრივ პრინციპებს ეფუძნება და ამავდროულად ფუნდამენტურად განსხვავდება. ცილისწამება ადამიანის პიროვნებასა და რეპუტაციას ეხება. პირადი ცხოვრების უფლება კი ადამიანის სულიერ სიმშვიდეს, გრძნობებსა და გუნება-განწობილებას იცავს. ზოგადად პირადი ცხოვრების უფლება იცავს თავად ინდივიდს ან მის საქმეებს არასასურველი საჯარო გამომზეურებისგან, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი გაუმართლებელია.

სახელმძღვანელო პრინციპად გამოდგება აშშ-ის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს განმარტება: „ჟურნალისტს ან გამომცემლობას,

[35] Mencher`s., M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 523.

[36] Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Allyn & Bacon, გვ. 145.

[37] Franklin, J., 1721. New-England Courant. Aug.10., Boston: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს პირის პირადი ცხოვრება, არ ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისთვის, თუ მასალა ეხება საზოგადოებისთვის საინტერესო პირს - და არაა აუცილებელი, რომ იგი არჩევითი თანამდებობის პირი ან სახელგანთქმული ადამიანი იყოს; არაა „მეტად შეურაცხმყოფელი ზომიერად მგრძნობიარე, გონიერი ადამიანისთვის და საზოგადოების სამართლიან დაინტერესებას იწვევს".

ხშირად უნებართვო შეჭრა უნებლიეთ ხდება. ვინმე, ვისაც აქვს იმ სიტუაციაში აშკარა უფლებამოსილება, გრთავთ რაიმე შემთხვევის ადგილას შესვლის ნებას; შემდეგ კი სხვა ვინმე, ვისაც უფრო ფართო უფლებამოსილებები აქვს, მოითხოვს თქვენგან, რომ დატოვოთ იქაურობა და გემუქრებათ, რომ სასამართლოში გიჩივლებთ. რა სახის კომპენსაცია შეიძლება მოგთხოვონ სხვის სახლში უნებართვო შეჭრის გამო? ერთი - დოლარიდან - თქვენ მიერ დასვრილი ხალიჩის გასაწმენდად - საკმაოდ მსხვილ თანხამდე - „მორალური სტრესის" ასანაზღაურებლად.[38]

პირად სივრცეში შეჭრის გარდა, პირად ცხოვრებაში ჩარევის სხვა შემთხვევაში ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ახალი ამბავი, ამად ღირდა. საჯარო ღონისძიებების დროს მისი მონაწილეების ქმედებები საჯაროა. თუმცა ჟურნალისტს არა აქვს უფლება შეიჭრას ადამიანის სახლში ან სამსახურში, რომ რაიმე ცნობები მოიპოვოს და პირადული სააშკარაოზე გამოიტანოს.[39] ადამიანის სახლსა და სამსახურში შესაღწევად არც ინფორმაციის მოპოვების ნამდვილი მიზნების დამალვა შეუძლია. არ იკრძალება ადამიანზე დაკვირვება, გაყოლა ან ფოტოს გადაღება საჯარო სივრცეში, მაგრამ ჟურნალისტმა არ უნდა შეაწუხოს რესპოდენტი.

ჟურნალისტებისთვის საშიშროებას წარმოადგენს უნებლიე ცილისწამების შემთხვევები, რომლებიც ხშირად ხდება მაშინ, როდესაც მასალებში შინაარსობრივი დატვირთვა, ძირითადად, ვიზუალურ მასალას ეხება.[40] ქვევით მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც შეიძლება შეფასდეს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად. კონკრეტულად კი გაშუქებად, რომელიც საზოგადოებას პირის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის.

ჟურნალისტების მხრიდან ცილისწამების ბრალდებათა ხშირი მიზეზია; სიჩქარე, უსაფუძვლო კომენტარები, ანალიზი და დასკვნები. მაგალითად, როდესაც „ნიუ-იორკ პოსტამ" განაცხადა, რომ უიტნი ჰიუსტონი მაიმის საავადმყოფოში მოხვდა გასახდომი ამბების ჭარბი დოზის მიღებისას. გაზეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. კომპენსაციის სახით 60 მილიონ დოლარს ითხოვდნენ. ამ მასალაზე მომუშავე ჟურნალისტებს საავადმყოფოში რომ დაერეკათ და ეკითხათ, აქვთ თუ არა რაიმე ჩანაწერები მომღერლის მიღებაზე ან მკურნალობაზე, მიხვდებოდნენ, ეს ტყუილი იყო. გამოცემამ მეორე დღესვე აღიარა თავისი შეცდომა.

ერთ-ერთი გაზეთის ტექსტის რედაქტორმა მასალას რესტორნის დახურვაზე ასეთი სათაური დააწერა: „სანიტარული სამსახური „ბანდიდოს" ხურავს; ინსპექციამ რესტორანში ვირთხები და მწერები აღმოაჩინა. რესტორნის მეპატრონემ გაზეთს უჩივლა. იგი ამტკიცებდა, რომ ინსპექციას ვირთხები არ უპოვია. რედაქტორმა სასამართლოზე განაცხადა: „როდესაც წავიკითხე სიტყვა „მღრნელი", ვიფიქრე, რომ ეს „ვირთხას" ნიშნავდა. ნაფიცმა მსაჯულებმა რესტორნის მეპატრონეს 985000 დოლარი მიაკუთვნეს და გაზეთმა ვერდიქტი გაასაჩივრა. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოს დონეზე საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე პირადი ცხოვრების, ცილისწამების დაცვის საკმაოდ ბევრი სამართლებრივი აქტი მოქმედებს.

მაგალითებში განხილულია სიტუაციები, რომლებშიც ჟურნალისტები თითქმის ყოველდღე ხვდებიან. ჟურნალისტური გამოძიება მრავალ ხიფათს შეიცავს ჟურნალისტებისთვის. თავის დასაცავად, ისევე, როგორც წარმატებული გამოძიებისთვის, ჟურნალისტმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს საკანონმდებლო მოთხოვნები. ამ საკანონმდებლო ნორმატივების დარღვევას მედიის ამ მნიშვნელოვანი სფეროს საგამოძიებო მოქმედებები შეიცავს. ჟურნალისტს საგამოძიებო ჟურნალისტური მეთოდების გამოყენებისთვის პასუხი ხშირად როგორც ეთიკურად, ასევე სამართლებრივადაც მოეთხოვებათ. ამ მეთოდებით ბრძოლა დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად სახელდება. განსაკუთრებით, როდესაც განვიხილავთ ჟურნალისტების მხრიდან ფარულ

38 მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე, გვ. 505.

39 ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 79.

40 შუკი, ფ., ლარსონი, ჯ. და დეარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 120.

მიყურადებასა და ინტერნეტურთიერთობების კონტროლს. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ახალი მედია ტექნოლოგიების პროგრესის ტემპები. დავას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტების საზოგადოებასთან, სხვადასხვა ტიპის პირად წყაროებთან კომუნიკაციის მზარდი წილი სწორედ ელექტრონულ საშუალებებზე დაფუძნებულ, დისტანციურ ურთიერთობებზე მოდის. ჟურნალისტური საქმიანობისას ასეთი ღონისძიებების გამოყენება ადამიანის უფლებათა სამართლის პერსპექტივით, დღეს თანამედროვე მედიაში განსაკუთრებით მეტად სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. ასეთი სახის მეთოდების გამოყენებით პოტენციურად ყველაზე მეტად იჭრება ჟურნალისტი თავისი მასალის პერსონაჟის (თუ სხვა პირის) პირად ცხოვრებაში.

სწორედ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობითაა განპირობებული ის გარემოებაც, რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში კანონი ჟურნალისტებს სიზუსტით ვერ განუსაზღვრავს თავისი საქმიანობის შესრულებისას ღონისძიებათა სამართლებრივ პრინციპებს, ამოცანებს, სახეებს და მათი ჩატარების ფაქტობრივ მექანიზმებს. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად სერიოზულია თავად დარღვევა, ან ამისთვის გათვალისწინებული სასჯელი. კანონის გადაცდომა ჟურნალისტის რეპუტაციისთვის დამანგრეველია და ძირს უთხრის აუდიტორიის ნდობის მანდატს. ამ მანდატის გარეშე გაშუქებულ მასალას არანაირი შედეგი არ აქვს. ამ მოვალეობების წესების მთავარი მიზანი არა მხოლოდ ჟურნალისტიკის დახვეწა, არამედ საზოგადოებისთვის მისი რწმენის დაბრუნებაცაა. პატივისცემა, ნდობა ჟურნალისტებს სჭირდებათ, რათა იბრძოლონ პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. საზოგადოების ნდობა ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. ჟურნალისტის უფლებაა მოიპოვოს ნებისმიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაცია და გამოიძიოს დანაშაული ან ანტისაზოგადოებრივი ქმედება, კარგად აწონ-დაწონოს, გამართლებულია თუ არა დამატებითი ფაქტების მოსაპოვებლად ტყუილის გამოყენებით პირად ცხოვრებაში შეჭრა ან ფარულად ჩაწერა. ჟურნალისტებს უწევთ მუშაობა საზოგადოებისთვის, რომელსაც სულ უფრო მეტად აინტერესებს მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ყველა შესაძლო ასპექტი.

ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტს უწევს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო ტერიტორიაზე შესვლა. არის თუ არა ეს ერთადერთი სამოქმედო გზა, რათა გააანალიზოს ამ გამოძიების სავარაუდო შედეგები? პირად ცხოვრების სფეროში ჩარევის ლეგიტიმაცია, როგორც ზემოთ განხილულ მაგალითების ანალიზისას აღვნიშნეთ, როგორც წესი, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროფესიული ვალდებულებაა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვეობის ისეთ დანაშაულებებთან ბრძოლაში, როგორებიცაა: ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ადამიანის უფლებების დარღვევის ასპექტები.

## დასკვნა

კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე ყველაზე გავრცელებული გარემოება, რომელშიც ჟურნალისტი ხვდება და რომელიც სახიფათოა კანონის დარღვევის თვალსაზრისით. ცხადი ხდება, რომ პირადი ხელშეუხებლობის საკითხი დღეს ახალი და მეტად რთული გამოწვევების წინაშე დგება. როგორც წესი, აღნიშნული საკითხები ყველაზე მწვავედ საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში იჩენს ხოლმე თავს, რაც თავად დარგის სპეციფიკური ბუნებითაა განპირობებული. ამ სფეროზე წარმოდგენას მხოლოდ თავად გამომძიებელი ჟურნალისტების დაწერილი კვლევითი მასალები ქმნიდა. ჟურნალისტები აღწერდნენ, როგორ ჩაუვარდათ ხელში საგამოძიებო ფაქტი და ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, რა დიდი წარმატებით გამოიძიეს და გამოააშკარავეს დანაშაული. ასეთი შინაარსის ტექსტები მხოლოდ აძლიერებდა საგამოძიებო ჟურნალისტიკის იდეალიზებულ ბუნებას.

ჟურნალისტური გამოძიება შემდეგი ფაქტორების შედეგად მკვიდრდება, ესენია: პროფესიული ეთიკა, რომელიც მედიამენეჯერების, რედაქტორებისა და ჟურნალისტების წრეში მკვიდრდება. ეს პროფესიული ნორმატივები ამ სფეროს წარმომადგენლებს ავალდებულებს, შეეწინააღმდეგონ კომერციულ ინტერესებს და ყველაზე მაღლა საზოგადოების ინტერესები დააყენონ. მეორე ფაქტორი - სწორი სამართლებრივი ბაზაა, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მედიას დამოუკიდებლად მუშაობის პირობებს უქმნის. ჟურნალისტი ვალდებულია, ზედმიწევნით დაიცვას კანონის მოთხოვნები - მიუკერძოებელი და გონივრული ფარდობა გამოძიებულ მასალაზე საზოგადოების მოთხოვნილებასა

და ჟურნალისტის მიერ გადაცემულ აღწერილ ფაქტებს შორის. ასევე არსებობს ისეთი ობიექტური მიზეზები, გარემოებები, როდესაც ავტორის მიერ აღნიშნული ძიების გაშუქებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული უზუსტობები ქვეყნის კანონმდებლობებთან, რომლებიც ზღუდავენ ამ საქმიანობას. ამ საკითხის განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის სამართლებრივი საკითხები, ადამიანის პირადი უფლებები, ცილისწამება, რომლებიც სისტემატურად მწვავედ დგება ჟურნალისტების წინაშე, და ზოგადი პრინციპები, რომლებიც ჟურნალისტს დაეხმარება იმის გარკვევაში, თუ როდის შეიძლება დასჭირდეს იურიდიული კონსულტაცია იურისტისგან.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების განხილვისას გამოიკვეთა, რომ მედია არა მხოლოდ ცვლის კანონებს, არამედ ზნეობრივ ნორმებსაც. ამ მოსაზრებას უნდა დავუმატოთ კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელი, ძლიერი არგუმენტი: მედიის თავისუფლებით დამკვიდრებული აზრები ბევრად უფრო მყარი და მდგრადია, ვიდრე მკაცრი ცენზურით შექმნილი შეხედულებები. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მედიას მსოფლიოში მოქმედების და გავრცელების ფართო სივრცე აქვს. მას დღეს მაღალი ხარისხით ეკისრება ვალდებულება და პასუხისმგებლობა გადასცეს გადამოწმებული ინფორმაცია და არ შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში.

იმედი მაქვს, რომ წარმოდგენილი სტატია წაადგება მედია თეორიითა და პრატიკით დაინტერესებულ მკითხველს, ის განსაკუთრებით გამოადგება უმაღლესი მედია სკოლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

## ბიბლიოგრაფია:


1. ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი, გვ. 229.
2. ბერტრანი, კ. ჟ., 2004. მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
3. გოგიჩაიშვილი, ა. და ხაჟომია, ნ., 2003. საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები. თბილისი: ამერიკის საბჭო. ავტოგრაფი.
4. დე ტოკველი, ა., 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
5. ვორჰოფი, დ. და ჰოედ-რასმუსენი ი., 2020. სახელმძღვანელო დოკუმენტი. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. თბილისი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID).
6. კაპანაძე, ნ., 2016. რა სხვაობაა ინფორმაციის წყაროს დაცვის პროფესიულ და საკანონმდებლო გარანტიებს შორის? თბილისი: მედია მედიისთვის.
7. მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე.
8. მახარაძე, ი., 2020. „პრაივესი ქართულ და დასავლურ მედიაში." ეკონომიკა და ფინანსები (ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).
9. მახარაძე, ი., 2010. თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა. თბილისი: საარი.
10. მახარაძე, ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.
11. მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი: ევროკავშირი საქართველოსთვის. ევროპის საბჭო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838> [წვდომის თარიღი 15 თებერვალი 2021].
12. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. 2014. ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში.
13. უსენაშვილი, ჯ., 2012. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას". თბილისი: სამართლის ჟურნალი, 2.
14. უიქსი, ლ.ი. და სხვები. 2006. მედიამენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე.
15. შუკი, ფ., ლარსონი, ჯ. და დეარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. ცხვედიანი, თ., 2013. სიძულვილის ენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
17. წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. და ბერეკაშვილი, ვ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).
18. ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
19. ჯორბენაძე, ს., 2019. სოციალური მედიის სამართალი. თბილისი: გერმანიის თანამშრომლობის ფონდი.
20. ჰიუსტონი, ბ., 2011. ჟურნალისტ გამომძიებლის სახელმძღვანელო. თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი .
21. Benedict, H., 1996. Reporting the Crime can Risk Further Victimizing the Victim. USA: Newspaper coverage of Rape:Dilemmas on Dradline. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims.
22. Brooks, S. B., Kennedy, G., Moen, R. D. and Ranly D., 2008. News Reporting and Writing. New York: School of Journalism University of Missouri.
23. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Allyn & Bacon.
24. Franklin, J., 1721. New-England Courant https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm Aug.10., BOSTON: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ushistory.org/franklin/courant./> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].
25. Larry, J. S. and Feeding, F., 1991. How Attack Journalizm Has Transformed American Polittcs. New York: The Free Pres.
26. Muncher's, M., 2008. News Reporting and Writing. USA. Columbia University.
27. Shapiro, B., 2003. 200 Years of Investigative Journalizm in America. USA: New York: United Scates of America. Group West.

## ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 1 ივნისი 2021].
2. საქართველოს კანონი "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ." [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4> [წვდომის თარიღი 6 ივლისი 2021].
3. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე". [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/63556?publication=0>[წვდომის თარიღი 2 ივნისი 2021].
4. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ". [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>[წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].
5. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". (1948, 10 დეკემბერი). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf > [წვდომის თარიღი 8 მაისი 2021].
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 >[წვდომის თარიღი 8 მაისი 2021].
7. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula > [წვდომის თარიღი 1 მაისი 2021].

## სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარ. 7.

# BIBLIOGRAPHY:

## Used Literature:

1. Alpaidze, T., 2008. Media Law. p. 229. (in Georgian)
2. Bertrand, K. J., 2004. Media Ethics and the Accountability System. Tbilisi: Freedom Institute. (in Georgian)
3. Brooks S. B., Kennedy, G., Moen, R. D. and Ranly, D., 2008. News reporting and writing. New York: School of Journalism University of Missouri. (in English)
4. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing in Journalism. USA: Allyn & Bacon. (in English)
5. Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimizing the Victim. USA: Newspaper coverage of Rape: Dilemmas on Dradline. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches

when reporting on rape victims. (in English)
6. De Tocqueville, A., 2011. Democracy in America. Tbilisi: Grigol Robakidze University. (in Georgian)
7. Gogichaishvili, A. and Khajomia, N., 2003. Fundamentals of Theory and Practice of Investigative Journalism. Tbilisi: Autograph. Council of America. (in Georgian)
8. Franklin, J., 1721. New-England Courant Aug.10., Boston: Mr. [Online] Available at: https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm [Accessed 12 June 2021].
9. Guidelines for the protection of privacy in the media space. Tbilisi: European Union for Georgia. Council of Europe. p. 8. (in Georgian)
10. Houston, b., 2011. Journalist Investigator Guide. Tbilisi: Eurasia Partnership Foundation. (in Georgian)
11. Jorbenadze, S., Bakhtadze, U. and Macharadze, Z., 2014. Media Law. Tbilisi: Davit Batonishvili Law Institute Publishing House. (in Georgian)
12. Jorbenadze, S., 2019. Social Media Law. Tbilisi: German Cooperation Foundation. (in Georgian)
13. Kapanadze, N., 2016. What is the difference between professional and legislative guarantees for the protection of the source of information? Tbilisi: Media for Media [Online] Available at: https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdeblo-garantiebs-shoris. [Accessed 12 june 2021]. (in English)
14. Larry, J. S. and Feeding, F., 1991. How Attack Journalizm Has Transformed American Polittcs. New York: The Free Pres. (in English)
15. Light, f., Larson, J. and Dearcio, J., 2014. Preparation of TV Reportage and TV Journalism. Tbilisi: University of Georgia Publishing House. (in Georgian)
16. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. (in Georgian)
17. Makharadze, I., 2020. "Drive in Georgian and Western Media." Economics and Finance (Institute for Economic Research and Development. Georgian Technical University). (in Georgian)
18. Makharadze, I., 2010. Theory and Practice of Modern Journalistic Investigation. Tbilisi: Saari. (in Georgian)
19. Mencher, M., 2013. News Journalism. Tbilisi: Diogenes. (in Georgian)
20. Muncher's, M., 2008. News reporting and writing. USA: Columbia University. (in English)
21. Shapiro, B., 2003. 200 Years of Investigative Journalizm in America. USA. New York: United Scates of America. Group West. (in English)
22. Tskhvediani, T., 2013. Hate Speech in the Practice of the European Court of Human Rights.Human rights and the rule of law. Collection of articles. (Korkelia, K. Red) Tbilisi. Office of the Public Defender of Georgia. Tbilisi state university. (in Georgian)
23. The right to privacy and family life. 2014. In the framework of the project "Support to Strengthening Human Rights in Georgia" funded by the Government of the Kingdom of the Netherlands. (in Georgian)
24. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of expression and protection of the independence and impartiality of the judiciary. United States Agency for International Development (USAID). p. 6. (in Georgian)
25. Usenashvili, J., 2012. "The Problem of Exercising the Right to Privacy Under the Control of the Court." Law Journal (Tbilisi University). (in Georgian)
26. Wicks, L.I. and others. 2006. Media Management. Diogenes. (in Georgian)
27. Warhoff, D. and Hoyed-Rasmussen I., 2020. Handbook. Ensuring the independence and impartiality of the court in the consideration of cases of restriction of freedom of expression. Tbilisi: United States Agency for International Development (USAID). (in English)

## Normative materials:

1. Constitution of Georgia. 1995. [online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 1 June 2021]. (in Georgian)
2. Law of Georgia "About the Press and Other Mass Media" [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4 > [accessed 6 July 2021].
3. Law of Georgia "On the Approval of the Regulation on Provision of Services in the Field of Electronic Communications and Consumer Rights". [Online] Available at: < https://matsne.gov.ge/ka/document/view/63556?publication=0 > [Accessed 2 June 2021].
4. Law of Georgia "on Freedom of Speech and Expression." [Online] Available at: < https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6 > [Accessed 3 June 2021].
5. Universal Declaration of Human Rights (1948, December 10). [Online] Available at: < http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf > [Accessed 8 May 2021].
6. European Convention on Human Rights. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 8 May 2021].
7. Charter of Journalistic Ethics of Georgia. 2009. [Online] Available at: < https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula > [Accessed 1 May 2021].

## Judicial Practice:

1. Decicion of the Constitutional Court of Georgia, 14 May 2013, Citizens of Georgia Alexander Baramidze, Lasha Tugushi, Vakhtang Khmaladze and Vakhtang Maisaia v. Parliament of Georgia", N2 / 2 / 516,542 , II, par. 7.

## REFERENCES:


1. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID), p. 6. (in Georgian)
2. Wicks, L . I., and others. 2006. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 176. (in Georgian)
3. Makharadze, I., 2020. Privacy in Georgian and Western media. Economics and Finance. Tbilisi: Institute for Economic Research and Development, Georgian Technical University, pp. 137-138. (in Georgian)
4. Warhoff, D. and Hoyed-Rasmussen, I., 2020. In reviewing cases involving restrictions on freedom of expression to ensure the independence and impartiality of the judiciary. Guidance document. United States Agency for International Development (USAID), p. 17. (in English)
5. Guiding principles for the protection of privacy in the media space. Tbilisi: European Union for Georgia. The Council of Europe. [Online] Available at: https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838 [Accessed 15 February 2021]. (in Georgian)
6. Article 10, Charter of Journalistic Ethics. [Online] Available at: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [Accessed 10 January 2021]. (in Georgian)
7. Mencher`s, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 521. (in English)
8. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID), p. 8. (in Georgian)
9. Mencher`s, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 197. (in English)
10. Jorbenadze, S., Bakhtadze, U., and Macharadze, Z., 2014. Media Court. Tbilisi: Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 35. (in Georgian)
11. Jorbenadze, S. 2019. Social Media Law. German Cooperation Foundation, pp. 154-155. (in Georgian)
12. Kapanadze, N., 2016. What is the difference between professional and legislative guarantees for the protection of the source of information? Tbilisi: Media for Media. [Online] Available at: <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdeblo-garantiebs-shoris> [Accessed 11 April 2021]. (in Georgian)
13. Article 6, Charter of Journalistic Ethics of Georgia. [Online] Available at: https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula [Accessed 1 May 2021]. (in Georgian)
14. Article 14, Law of Georgia On Broadcasting. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
15. Decicion of the Constitutional Court of Georgia, 14 May 2013, Citizens of Georgia Alexander Baramidze, Lasha Tugushi, Vakhtang Khmaladze and Vakhtang Maisaia v. Parliament of Georgia", N2 / 2 / 516,542 , II, par. 7. (in Georgian)
16. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. Georgian National University, p. 132. (in Georgian)
17. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID). p. 8. (in Georgian)
18. De Tocqueville, A., 2011. Democracy in America. Tbilisi: Grigol Robakidze University, p. 183. (in Georgian)
19. Bertrand, K. J., 2004. Media Ethics and the Accountability System. Tbilisi: Freedom Institute, p. 18. (in Georgian)
20. The right to privacy and family life. 2014. In the framework of the project "Support to Strengthening Human Rights in Georgia" funded by the Government of the Kingdom of the Netherlands, p. 9. (in Georgian)
21. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. Georgian national university, p. 131. (in Georgian)
22. Alfaidze, T., 2008. Media Law. Tbilisi: p. 229. (in Georgian)
23. Article 17, Law of Georgia on Freedom of Speech and Expression. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
24. Makharadze, I., 2010. Theory and Practice of Modern Journalistic Investigation. Tbilisi: Saari, p. 304. (in Georgian)
25. Alfaidze, T., 2008. Media Law. Tbilisi: p. 233. (in Georgian)
26. Wicks, I. L. and others. 2004. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 174. (in Georgian)
27. Mencher, M., 2013. Journalism of New Mbes. Tbilisi: Diogenes, p. 518. (in Georgian)
28. Ibid. p. 519. (in Georgian)
29. Larry, J. and Sabato, F. F., 1991. How Attack Journalism Has Transformed American Polittcs. New York: The Free Pres, pp. 125 -126. (in English)
30. Guidelines for the protection of privacy in the media space. Council of Europe. European Union for Georgia. p. 11. [online] Available at: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage georgian/1680760838> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
31. Houston, B., 2011. Journalist Investigator Handbook. Tbilisi: Eurasia Partnership Foundation, p. 202. (in Georgian)
32. Wicks, I. L., Sylvie, J., Holyfield, S. A. and others. 2004. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 177. (in Georgian)
33. Gogichaishvili, A. and Khajomia, N., 2003.

Fundamentals of Theory and Practice of Investigative Journalism. Tbilisi: Council of America. Autograph., p. 20. (in Georgian)
34. Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimizing the Victim. USA: Newspapercoverage of Rape: Dilemmas on Dradline, p. 10. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims. (in English)
35. Mencher`s, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 523. (in English)
36. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. Usa: Allyn & Bacon, p. 145. (in English)
37. Franklin, J., 1721. „New-England Courant" Aug.10., Boston: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [online] Available at: <https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm> [Accessed 12 June 2021]. (in English)
38. Mencher, M,. 2013. News Journalism. Tbilisi: Diogenes, p. 505. (in Georgian)
39. Jorbenadze, S., Bakhtadze, U. and Macharadze, Z., 2014. Media Court. Tbilisi: Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 79. (in Georgian)
40. Shuki, F., Larson, J. and Dearcio, J., 2014. Preparation of TV Reportage and TV Journalism, Tbilisi: University of Georgia Publishing House, p. 120. (in Georgian)